



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/5224-14

29 სექტემბერი, 2014 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები – ნატალია ნაზლაიძე, ნათია გუჯაბიძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორი - შპს „ა. ს. ც.“

წარმომადგენელი - მ. ჯ.

მოწინააღმდეგე მხარე - ზ. დ., შპს „მ.“

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივლისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ

აპელანტების მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და განცხადების სრულად დაკმაყოფილება

გასაჩივრებული განჩინების შეცვლის დასაბუთება

სააპელაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ საჩივარს, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის, საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.



სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის “გ” ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივლისის განჩინებით შპს „ა. ს. ც.-ს“ მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შპს „მ.-სა“ (ს/კ XXXXXXXXXXX) და ზ. დ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXXXX) აეკრძალათ შპს „ა. ს. ც.-ს“ მიერ მიწოდებული მოძრავი ნივთების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, ხოლო მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხე ზ. დ.-ს კუთვნილ უძრავ ქონებაზე (ს/კ XX.XX.XX.XXX) და მოპასუხეთა კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე 38 576 ლარის ფარგლებში ყადაღის დადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა (ს.ფ. 50-54).

2014 წლის 23 ივლისს აღნიშნულ განჩინებაზე შპს „ა. ს. ც.-ს“ წარმომადგენელმა, მ. ჭ.-მ საჩივარი წარადგინა და გასაჩივრებული განჩინების იმ ნაწილში გაუქმება მოითხოვა, რომლითაც მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და ზ. დ.-ს და შპს „მ.-ს“ საბანკო ანგარიშებზე, საერთო ვალდებულების, 38 576 ლარის ფარგლებში (ზ. დ.: ლიბერთი ბანკი GE47LBXXXXXXXXXXXXXXXX; შპს „მ.“ სს თიბისი ბანკი GE68TBXXXXXXXXXXXXXXXX) და ასევე წყალტუბოს რაიონში, სოფელ ფარცხანაყანებში ზ. დ.-ს საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ს/კ. XX.XX.XX.XXX ყადაღის დადება მოითხოვა (ს.ფ. 61-63).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 აგვისტოს განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას გადმოეგზავნა (ს.ფ. 95-98).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ასეთი განცხადება გადაუდებელ შემთხვევაში, შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძვრამდეც. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია, ერთი მხრივ, შპს „ა. ს. ც.-სა“ და, მეორე მხრივ, შპს „მ.-სა“ და ზ. დ.-ს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის შპს „ა. ს. ც.-



სათვის“ გადახდის დაკისრება (ს.ფ. 1-24). მოთხოვნას წარმოადგენს შემდეგი: შპს „მ.-სა“ და ზ. დ.-ს დაეკისროს შპს „ა. ს. ც.-სათვის“ დავალიანების 38 576 ლარის სოლიდარულად გადახდა. პალატას მიაჩნია, რომ დავის საბოლოო გადაწყვეტამდე მოპასუხის საკუთრებაში უძრავი ქონების შენარჩუნება წარმოადგენს სარჩელის უზრუნველსაყოფად, მისი დაკმაყოფილების შესახებ სავარაუდო გადაწყვეტილების აღსრულების გარანტირებისათვის აუცილებელ პირობას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა იმ რეალობის ან მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე, შესაძლოა, არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდეს. კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს მოპასუხის კუთვნილი ქონების გასხვისებასა თუ გაჩუქებაში, რა შემთხვევაშიც მოპასუხის საკუთრებაში ქონების არარსებობის გამო, თანხის დაკისრების თაობაზე შესაძლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება ვერ განხორციელდება. ამდენად, განმცხადებლის მითითება სადავო ქონების მოპასუხის საკუთრებიდან გასვლის მოსალოდნელობის თაობაზე ქმნის ვარაუდს, რომ ქონებაზე ყადაღის დადების გარეშე საქმეზე მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება გართულდება ან შეუძლებელი გახდება. პალატა ასევე განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა იყოს განპირობებული იმ ვარაუდით, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. მართალია, მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ყადაღა დაადო მოპასუხეთა მოძრავ ქონებას, მაგრამ პალატას მიაჩნია, რომ სწორედ დაყადაღებული ქონების ბუნებიდან გამომდინარე, მოძრავ ნივთებზე უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება შესაძლებელია ვერ განხორციელდეს, რაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საფრთხეს შეუქმნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. ამ საფრთხის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ზ. დ.-ს უძრავ ქონებაზე, კერძოდ, წყალტუბოს რაიონში, სოფელ ფარცხანაყანებში ზ. დ.-ს საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ს/კ. XX.XX.XX.XXX უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რაც აღნიშნული მიწის ნაკვეთის სავარაუდო საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულია და მოთხოვნის საფუძვლებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია.

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით უძრავ ქონების მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ეხება ფიზიკური პირის ქონებას, რომლის უფლების დროებითი შეზღუდვა დაუშვებლად არ ხელყოფს აღნიშნული პირისა და მესამე პირების ინტერესებს, განსხვავებით მრავალკრედიტორიანი სუბიექტების, უმეტესად, იურიდიული პირების, ქონებისა და პირადი ანგარიშების დაყადაღებისაგან, როცა მხედველობაშია მისაღები ამ უკანასკნელთა საქმიანობა, უძრავი ქონების, როგორც შემოსავლის ერთ-ერთი წყაროს უფლებრივი შეზღუდვის ფაქტობრივი შედეგები და სხვა კრედიტორების ინტერესები.

სწორედ აქედან გამომდინარე, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყადაღის დადებას საბანკო ანგარიშებზე. მით უფრო, რომ მოქმედი სამეწარმეო სუბიექტის საბანკო ანგარიშებზე



ყადაღის დადებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საწარმოს საქმიანობას და გამოიწვიოს ზარალი.

ამასთან, პალატა მხარეს განუმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის მიხედვით, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. ამდენად, თუ **ზ. დ.** მიიჩნევს, რომ აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებლად ხელყოფს მის უფლებას, იგი უფლებამოსილია შესთავაზოს სასამართლოს უზრუნველყოფის სხვა საშუალება ან მოითხოვოს აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა სხვა, მისთვის უფრო მისაღები უზრუნველყოფის ღონისძიებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ შპს „**ა. ს. ც.-ს**“ წარმომადგენლის, **მ. ჭ.-ს** საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივლისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ და პირველი ინსტანციის სასამართლომ ხელახლა უნდა იმსჯელოს მოპასუხის უძრავი ქონების მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

პალატა აქვე დამატებით განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება და საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციისათვის დაბრუნებას განაპირობებს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ **საჩივრის ფარგლებში გამოტანილი განჩინების გასაჩივრების შეუძლებლობა**, რა დროსაც მხარეებს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებასა, თუ მის გამოყენებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული რისკების სასამართლოსათვის წარმოდგენისა და შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების **გასაჩივრების შესაძლებლობა არ აქვთ**. მოცემულ შემთხვევაში, თუ სასამართლო **ზ. დ.-ს** უძრავი ქონების მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიებას გამოიყენებს და ამავდროულად, გაირკვევა, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით შესაძლებელი აღმოჩნდა სააღსრულებო ფურცელში მითითებული ყველა მოძრავი ქონების დაყადაღება, აღნიშნული გარემოება, საჩივრის ფარგლებში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით **ზ. დ.-ს** უძრავ ქონებაზე გავრცელებული საპროცესო-სამართლებრივი შეზღუდვის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის (საჩივრის) თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1971-ე, 372-ე, 390-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა

1. შპს „**ა. ს. ც.-ს**“ წარმომადგენლის, **მ. ჭ.-ს** საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივლისის განჩინება და ამავე სასამართლოს 2014 წლის 27 აგვისტოს განჩინება იმ ნაწილში,



რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „ა. ს. ც.-ს“ მოთხოვნა **ზ. დ.-ს** უპრავ ქონებაზე (მდებარე: წყალტუბოს რაიონში, სოფელ ფარცხანაყანებში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ. **XX.XX.XX.XXX**) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და საქმე აღნიშნული მოთხოვნის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს;

3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნატალია ნაზლაიძე

ნათია გუჯაბიძე